


რიჩარდ მარეი

**დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი,
როგორც პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტი**

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის გზამკვლევი



თბილისი
2012

რიჩარდ მარეი

ღანახარჯი-სარგებლობის ანალიზი, როგორც პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტი

ღანახარჯი-სარგებლობის ანალიზის გზამკვლევი



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES



INTERNATIONAL SWEDISH INSTITUTE FOR
PUBLIC ADMINISTRATION

მთარგმნელი: ქეთევან მსხილაძე
რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

წინამდებარე გზამკვლევი საგანგებოდ შემუშავდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდისა და პოლიტიკის ანალიზის იმ სასწავლო კურსისთვის, რომელიც ამ ფონდში საჯარო მოხელეებისთვის პროფესიული შესაძლებლობების ზრდის პროგრამის ფარგლებში ტარდება. პროგრამის სრული სახელწოდებაა „საქართველოს საჯარო მოხელეთა პროფესიული შესაძლებლობების ზრდა გადაწყვეტილების მიღებასა და მოლაპარაკებების წარმართვის ტექნიკაში“. იგი გამიზნულია დაეხმაროს საქართველოს მთავრობას მის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავებაში. ეს პროექტი ითვალისწინებს საშუალო რგოლის საჯარო მოხელეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა უშუალო ჩართვას იმ პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებაში, რომლებიც ავითარებს პოლიტიკის შემუშავებისა და მოლაპარაკებათა წარმართვის ტექნიკის უნარ-ჩვევებს. აქედან გამომდინარე, ეს სავარჯიშოები ემსახურება არა მხოლოდ საქართველოს საჯარო ადმინისტრირებისა და პოლიტიკის მოდერნიზების ხელშეწყობას, არამედ ასევე დაეხმარება ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე ქმედითი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას. პროექტის მთავარი ამოცანაა საჯარო მოხელეებისათვის მართვის თანამედროვე თეორიის, პრაქტიკისა და უნარ-ჩვევების შემოღება და გაძლიერება. საჯარო მოხელეების საქმიანობა იქნება გენდერული თანასწორობის პრინციპების შესაბამისი და ამ პრინციპების ხელშეწყობი.

პროგრამას ახორციელებს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი საჯარო ადმინისტრაციის შვედურ ინსტიტუტთან (SIPU International) და ესტონეთის დიპლომატიის სკოლასთან (ESD) თანამშრომლობით.



პროექტი ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით

The Project is funded by the Swedish International Development Agency

სავცორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2012 წელი

All rights reserved and belong to Georgian Foundation for Strategic and International Studies. No part of this publication may be reproduced in any form, including electronic and mechanical, without the prior written permission of the publisher

Copyright © 2012 Georgian Foundation for Strategic and International Studies

წინათქმა

წინამდებარე ბროშურა წარმოადგენს სასწავლო გზამკვლევს საჯარო პოლიტიკის პრობლემის გადაჭრის მიზნით დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის გამოსაყენებლად. გზამკვლევი დაწერილია მარტივი ენით და განკუთვნილია იმ საჯარო მოხელეთათვის, რომელთაც სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში უხდებათ საჯარო პრობლემების შესწავლა და გადაწყვეტილებების მიმღებისთვის სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. გზამკვლევი საჯარო მოხელეს დაეხმარება წარმოდგენა შეიქმნას პოლიტიკის ანალიზის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტის - დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის - შესახებ. აქ აღწერილია გამოგონილი პრობლემური ვითარება და ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა მოხდეს დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის მეთოდის გამოყენება პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის ძიების დროს.

არჩილ გეგეშიძე

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის წამყვანი მკვლევარი

სარჩევი

რატომ დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი?	7
პოლიტიკის ანალიზის ციკლი და დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი.....	7
დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი ხელს უწყობს რაციონალობასა და გამჭვირვალობას.....	8
დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი დემოკრატიულია	9
დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი აადვილებს პოლიტიკის ანალიზს	9
დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის თეორია.....	11
როგორ გამოვითვალთ გადახდისთვის მზადყოფნა	12
დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი ბევრ სფეროში გამოიყენება	13
დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის მაგალითი	14
როგორ შევარჩიოთ ღარიბი რეგიონის განვითარების საუკეთესო გზა?	14
<i>ნაბიჯი 1:</i> პრობლემის სტრუქტურირება და პროექტის მიზნების განსაზღვრა	15
<i>ნაბიჯი 2:</i> ალტერნატივების განხილვა	15
<i>ნაბიჯი 3:</i> ალტერნატივების დაკონკრეტება	16
მადარო	16
ტურიზმის განვითარება.....	17
<i>ნაბიჯი 4:</i> თითოეული ალტერნატივის მიახლოებითი გაანგარიშება	18
მადაროს გახსნის უხეში გათვლები	18
შეფასება.....	20
ტურიზმის განვითარების უხეში გათვლები	20
შეფასება.....	21
ორი ალტერნატივის უხეში შედარება.....	21
<i>ნაბიჯი 5:</i> „უცვლელად დატოვების“ ალტერნატივის შედეგების რაოდენობრივი განსაზღვრა	22
ალტერნატივების პროგნოზები, წინაპირობები და რისკები	23
<i>ნაბიჯი 6:</i> საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობის განსაზღვრა	27
<i>ნაბიჯი 7:</i> შესწორების (ფასდაკლების) საპროცენტო ნორმის შერჩევა	27
<i>ნაბიჯი 8:</i> შედეგების შეფასება.....	28
<i>ნაბიჯი 9:</i> ალტერნატივების (სავარაუდო შედეგების) შედარება.....	31

რატომ დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი?


საჯარო მოხელეებს, განსაკუთრებით სამინისტროების თანამშრომლებს, ხშირად სთხოვენ რჩევას პოლიტიკის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. საკითხები ზოგჯერ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათზე მოკლე პასუხი საკმარისი არ არის. საჭიროა ამ საკითხებზე საკმაოდ დაფიქრება და მოკლე მოხსენებისა თუ ვრცელი ანგარიშის მომზადება. ზოგ შემთხვევაში საკითხები სრულფასოვან გამოკვლევასა და შესწავლას მოითხოვს.

როგორც არ უნდა იყოს რჩევა, მოკლე პასუხისა თუ ვრცელი ანგარიშის სახით, ეს იქნება *პოლიტიკის ანალიზის* შემთხვევაა. ზოგჯერ რჩევას ყასიდად ითხოვენ. ეს ძირითადად ხდება მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მიმღებებს თავისთვის უკვე აქვთ განსაზღვრული გადაწყვეტილება და თქვენგან, როგორც პოლიტიკის ანალიტიკოსისგან, ამ გადაწყვეტილების სასურველი ფორმით ჩამოყალიბებას ითხოვენ. ასეც რომ იყოს, გადაწყვეტილებების მიმღები შეიძლება სასიამოვნოდ გააკვირვოთ ანდა მადლობელიც კი დაგრჩეთ, თუ ვარიანტებს შესთავაზებთ და იგი გაიაზრებს, რომ თურმე სხვა ვარიანტებიც, ანუ *ქმედების ალტერნატიული გზებიც* არსებობს.

პოლიტიკის ანალიზის ციკლი და დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი

რა კავშირია დანახარჯი-სარგებლობის ანალიზსა და პოლიტიკის ანალიზს შორის? როგორ ესადაგება დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი პოლიტიკის ანალიზს?

გრაფიკი: პოლიტიკის ანალიზის ციკლი



ზემოთ წარმოდგენილ ნახაზზე პოლიტიკის ანალიზის ციკლია გამოსახული. ყველა ასეთი ანალიზი პოლიტიკის პრობლემის განსაზღვრითა და სტრუქტურირებით იწყება. რა საკითხი წარმოადგენს პრობლემას? რატომ არის ეს პრობლემა? რა მიზანს ისახავს სამთავრობო პოლიტიკა ამ სფეროში? რა აფერხებს ამ მიზნის მიღწევას? - ეს ის ეტაპია, რომელიც დანახარჯი-სარგებლობის ანალიზს წინ უნდა უძღოდეს ან მის ნაწილს შეადგენდეს.

პოლიტიკის ანალიზში ხაზგასმულია ალტერნატივების მოძიების აუცილებლობა. ხშირად გადაწყვეტილებების მიმღებთ პრობლემაზე რეაგირების პოლიტიკა უკვე მოაზრებული აქვთ და სურთ, რომ ანალიტიკოსმა მისი მიზანშეწონილობა დაადასტუროს. ასეთ დროს, უკვე არსებული პოლიტიკის შესწავლასთან ერთად, ანალიტიკოსმა მისი ალტერნატივებიც უნდა მოიძიოს. სწორედ ასე ხდება დანახარჯი-სარგებლობის ანალიზში. მეტიც, სათანადო ალტერნატივების, სულ ცოტა, „უცვლელად დატოვების“ ალტერნატივის, განსაზღვრა აუცილებელია დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის შესასრულებლად. ეს პოლიტიკის ანალიზის სტანდარტული პროცედურაც უნდა იყოს.

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზს სწორედ ამის შემდეგ შეაქვს მთავარი წვლილი პოლიტიკის ანალიზში. ეს წვლილი სხვადასხვა ალტერნატივის წინასწარი (ex ante) შეფასებით, ამ ალტერნატივების ძლიერი და სუსტი მხარეების შედარებითა და რეკომენდაციის შემუშავებით გამოიხატება. ამისათვის დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი იყენებს მეთოდებსა და ტექნიკას, რომლებიც ემყარება ეკონომიკურ მოსაზრებებს და ძალზე ხელსაყრელია ისეთი პოლიტიკის შემუშავებისას, რომელიც მოქალაქეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი ძალიან სასარგებლოა როგორც ალტერნატივის არჩევის, ასევე არჩეული ალტერნატივის ოპტიმალურად დაგეგმვის დროს.

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი უკვე გატარებული (ex post) პოლიტიკის შესაფასებლადაც გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი გეხმარებათ პასუხი გასცეთ კითხვას: ამ გადასახედიდან თუ იყო შესაძლებელი უკეთესი ალტერნატივის არჩევა?

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი ხელს უწყობს რაციონალობასა და გამჭვირვალობას

სახელმწიფო ადმინისტრაცია, ასევე სამინისტროები, ადამიანებითაა დაკომპლექტებული. შესაბამისად, ისინი ადამიანებით მოიქცევიან: ზოგჯერ რაციონალურად, ობიექტურად და ლოიალურად იმოქმედებენ, ზოგჯერ – საკუთარი ინტერესების მიხედვით, ლობისტური ჯგუფების სასარგებლოდ, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა საკითხს, უბრალოდ, არასერიოზულად მოეკიდებიან.

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი რაციონალურობას უწყობს ხელს. იგი მოითხოვს ყველა *შედეგის* გათვალისწინებას, ყველა *მოგებულისა* და ყველა

წაგებულის იდენტიფიცირებას, ალტერნატიული ქმედებისა თუ საერთოდ უმოქმედობის განხილვას, ალტერნატივების სისტემატურად, სრულფასოვნად და თანაბარი პირობებით შედარებას.

ეს მოთხოვნები გამჭვირვალობას უწყობს ხელს. თუ შეამოწმებთ დანახარჯი-სარგებლობის ანალიზს იმის დასადგენად, სრულდება თუ არა ეს მოთხოვნები, ყველა იმ მონაცემს, წინაპირობას, გაანგარიშებას და ა.შ. ნახავთ, რომლისგანაც დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი შედგება. პოლიტიკის ანალიზისთვის გამჭვირვალობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან გადაწყვეტილებების მიმღებებს ამგვარი გამჭვირვალობა სჭირდებათ მიღებული რჩევის თაობაზე საკუთარი აზრის შესაქმნელად. გამჭვირვალობა ასევე უწყობს ხელს პოლიტიკის ანალიზის ხარისხის გაუმჯობესებას, რადგან იძლევა შესაძლებლობას, რომ ეს ანალიზი სხვებმაც დეტალურად განიხილონ, იკამათონ მასზე, გააკრიტიკონ, თუნდაც ეს ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის შიგნით ხდებოდეს.

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი დემოკრატიულია

გაანგარიშებაში ხვდება ყველა: მარტოხელა დედები ისევე აღირიცხებიან, როგორც პრემიერ-მინისტრები და ისეთივე წონა ენიჭებათ, როგორც პრემიერ-მინისტრებს. ეს იმიტომ ხდება, რომ შედეგები მოქალაქეთა პრეფერენციების მიხედვით ფასდება. საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი ისევე აღირიცხება, როგორც ლობისტი.

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის სპეციალისტი გადაწყვეტილებებს არ იღებს. ანალიზის შედეგები გადაწყვეტილებების მიმღებს გადაეცემა, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებები ამ ანალიზის საფუძველზე მიიღოს, თუმცა სხვაგვარადაც შეუძლია მოიქცეს. დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი გადაწყვეტილებებს კი არ კარნახობს, არამედ მათ მიღებას უწყობს ხელს. ზოგჯერ გადაწყვეტილებების მიმღებს შეიძლება ისეთი რამის გათვალისწინება მოუხდეს, რაც ანალიზში ასახული არ არის. თუმცა დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი ქმნის პლატფორმას, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს დაისვას კითხვა, რის საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების მიღება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება ანალიზის შედეგებიდან აშკარად არ გამომდინარეობს.

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი აადვილებს პოლიტიკის ანალიზს

მიუხედავად იმისა, რომ დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის შესრულება მოითხოვს ძალისხმევას, იგი პოლიტიკის ანალიზს აადვილებს. კონკრეტულ ქმედებას - კაშხლის აშენებას, დაბინძურების წინააღმდეგ რეგულირების შემოღებას, ალკოჰოლზე გადასახადის დაწესებას, უსაფრთხო მოძრაობის კამპანიის წარმართვას და ა.შ. - მრავალგვარი შედეგი მოაქვს ისეთ სფეროებსა და საკითხებში, როგორცაა: ინვესტიციების დაბანდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მიმდინარე და მომავალი ხარჯები, სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები, ბიზნესის

შესაძლებლობები, დასაქმება, სხვადასხვა ჯგუფისა და რეგიონის შემოსავლები, გარემოზე ზემოქმედება - დაბინძურების, ბუნებაში ჩარევის, ბიომრავალფეროვნების და სხვა კუთხით; ექსპორტ-იმპორტი, ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაგროვება, ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობა, დაზოგილი თუ დაკარგული დრო და ა.შ.

როგორ გავითვალისწინოთ ყველა ეს შედეგი სხვადასხვა ალტერნატივის შედარებისა და შეფასების დროს? ვთქვათ, რაღაც კონკრეტული ქმედება ხელს უწყობს ექსპორტს, მაგრამ ანადგურებს ლანდშაფტს, ასაქმებს 5,000 ადამიანს, მართალია, მსხვილი ფერმერული მეურნეობების ხარჯზე მოითხოვს მსხვილ ინვესტიციებს ახლა, მაგრამ 10 წლის შემდეგ ან კიდევ უფრო შორეულ მომავალში მოიტანს დასაქმებასა და შემოსავალს... როგორ შევაფასოთ ეს ქმედება? როგორ შევადაროთ იგი სხვა ქმედებებს, რომლებიც სხვა შედეგებს გამოიღებს?

თუ დანახარჯი-სარგებლობის ანალიზს *გადახდისთვის მზადყოფნის* (ინდივიდთა პრეფერენციების უნივერსალური საზომი) საფუძველზე ჩავატარებთ, შესაძლებელი იქნება, რომ შედარებაში განზომილებების რაოდენობა შევამციროთ სხვადასხვა შედეგის ერთ ციფრად შეკრების გზით. სავარაუდოდ, ყველა შედეგის ერთ ციფრად შეკრება შეუძლებელი იქნება, ვინაიდან ზოგი შედეგის ფულად ერთეულში გამოსახვა, მოქალაქეთა გადახდისთვის მზადყოფნის მიხედვით, ძნელი იქნება ანდა ზოგი შედეგი, ალბათ, საერთოდ არც უნდა შეფასდეს. მაგალითად, რამდენად შესაძლებელი ან ეთიკურია გზის მშენებლობის ღირებულების მსგავსად იმ ადამიანთა სიცოცხლის ფულად ერთეულში ისევე შეფასება, რომლებიც ამ გზის შეკეთებისა თუ უსაფრთხო მოძრაობის კამპანიის შედეგად გადარჩნენ? თუმცა ოცი, ორმოცი თუ მეტი განზომილების ნაცვლად, ვთქვათ, სამი ან ოთხი განზომილების ქონა ძალიან ხელსაყრელია. თუ ვინმეს სურს იმ ერთ ციფრში შეტანილი შედეგებიდან რომელიმეს გამოყოფა და ცალკე გათვალისწინება, ამის გაკეთებას ძალიან მარტივად შეძლებს - ამის გარანტიას გამჭვირვალობა იძლევა.

პოლიტიკის ნებისმიერ ანალიზში დროის ფაქტორი სპეციფიკური საკითხია. სასურველი შედეგები, მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, შეიძლება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდეს, მაგრამ ხარჯებსა და ბიუჯეტზე მათი გავლენა მაშინვე იგრძნობა. გადახდისთვის მზადყოფნის მიხედვით ყველა შედეგის ფულად ერთეულში გამოსახვა შესაძლებლობას იძლევა შევადაროთ მიმდინარე და მომავალი ხარჯები და სარგებელი მათი მიმდინარე ღირებულების მიხედვით შესწორების (*ფასდაკლების*) გზით. ამით შევძლებთ შევადაროთ გრძელვადიანი შედეგების მქონე წინადადება იმ წინადადებას, რომელსაც მყისიერი შედეგები მოაქვს. ამ ორიდან რომელი აჯობებს, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია შესწორების დროითი სკალის იმ ნორმაზე, რომელსაც შევარჩევთ - რამდენად მნიშვნელოვანია აწმყო მომავალთან და მომავალ თაობებთან მიმართებით?

შესწორების ნორმა და სხვა პარამეტრები და ვარაუდები, რომლებიც გათვლაშია გამოყენებული, დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის შედეგზე მოქმედებს. ამიტომაც სასურველია *მგრძნობელობის ანალიზის* ჩატარება, რათა ვნახოთ, რამდენად ზუსტია შედეგები. მას შემდეგ, რაც განზომილებების რაოდენობას შევამცირებთ, და რომელთა შორისაც მოგებიანობის (სარგებელს გამოკლებული ხარჯი) ერთი ციფრი იქნება, ადვილია პარამეტრის ოდნავ შეცვლა და ნახვა, როგორ გავლენას ახდენს ეს ცვლილება შედეგზე. თუ შედეგი უცვლელია, დასკვნა აშკარაა - წინადადება, რომლის პარამეტრებიც მისაღებ ფარგლებში მერყეობს, სხვა ალტერნატივებს ყოველთვის სჯობნის. თუ არა და - უნდა შეფასდეს *ალბათობა და არასაიმედოობა*.

შემოთავაზებული ქმედება, მაგალითად, სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, სხვადასხვანაირად შეიძლება დაიგეგმოს - სარკინიგზო ხაზი შეიძლება იყოს მაღალი ან დაბალი წარმადობის, შედარებით იაფი ან ძვირი. რომელია *ოპტიმალური პროექტი*? სხვადასხვა პროექტის მოგებიანობის გამოანგარიშებით შეიძლება წინადადების ოპტიმიზება. ეს კი დანახარჯი-სარგებლობის ანალიზით ადვილად კეთდება.

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის თეორია

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის იდეა გულისხმობს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი მოქალაქეების *კეთილდღეობაა*. ეს კეთილდღეობა დიდწილად იგივეა, რაც სარგებლობა, რომელსაც ადამიანები მოხმარებისაგან (ამ სიტყვის ფართო გაგებით) იღებენ, მათ შორის ჯანდაცვის, ლამაზი ბუნების, განათლების, პირადი უსაფრთხოების (პოლიციისა და არმიის მიერ) მოხმარებისგან, გარდა იმ სარგებლობისა, რომელსაც კერძო მოხმარებისაგან, ანუ საცხოვრებლის, საკვების, დასვენებისაგან და ა.შ. იღებენ.

როდესაც რაიმე ნივთს ვყიდულობთ (კერძო მოხმარება), მიგვაჩნია, რომ ეს ნივთი, მინიმუმ, იმდენი ღირს, რა ფასიც ადევს. ანუ „ამ ნივთით“ მეტ სარგებლობას ვიღებთ, ვიდრე იმ ფულის გადახდაზე უარის თქმით, რომელიც შეიძლება სხვა რამის საყიდლად გამოგვეყენებინა. რაც უფრო ნაკლებია ფასი, მით უფრო მეტ სარგებლობას ვიღებთ. სხვაობას გადახდისთვის მზადყოფნასა და ფასს შორის ეწოდება *მომხმარებლის ნამატი*.

მომხმარებლის ნამატი = გადახდის მზადყოფნა - ფასი

როდესაც ფირმა რაიმეს ყიდის და მასში მეტ ფულს იღებს, ვიდრე „ამ ნივთის“ წარმოება და გაყიდვა დაუჯდა, იგი მოგებას იღებს. დანახარჯებში შედის მასალების, ენერგორესურსების, შენობა-ნაგებობების, შრომის, კაპიტალის და ა.შ. ხარჯი. დანახარჯი გვიჩვენებს, თუ რა შემოსავალს მოიტანდა ან რა ღირებულება ექნებოდა ყველა ამ რესურსს - მასალებს, ენერგორესურსებს, შენობა-ნაგებობებს, აღჭურვილობას, შრომას, კაპიტალს და ა.შ. - საქმიანობის სხვა სფეროებში. ამას

ალტერნატიული დანახარჯი ეწოდება. პროდუქტის სარეალიზაციო ფასსა და ამ პროდუქტის დამზადების ხარჯს შორის სხვაობას *მწარმოებლის ნამატი* ეწოდება. იგი ფირმის მფლობელების სარგებლობის ზრდის ტოლია. თუ ფირმა პროდუქტს მისი წარმოების და გაყიდვის ღირებულებაზე ნაკლებ ფასად გაყიდის, იგი იზარალებს - რაც მფლობელების სარგებლობის კლებას ნიშნავს.

მწარმოებლის ნამატი = ფასი - ხარჯები

მომხმარებლის და მწარმოებლის ნამატების შეკრებით მივიღებთ:

მომხმარებლის ნამატი + მწარმოებლის ნამატი = გადახდისთვის მზადყოფნა - ხარჯები = კეთილდღეობის მატება/შემცირება

ეს იქნება კონკრეტული ქმედების კეთილდღეობის ზრდა ან კლება. უმარტივეს შემთხვევაში, ეს შეიძლება მოხმარებისათვის ქმნიდეს რაიმე „ნივთს“. კეთილდღეობის ზრდა არის სხვაობა მომხმარებელთა მზადყოფნასა (გადაიხადონ ამ „ნივთის“ რაღაც ოდენობაში) და ამ „ნივთის“ დამზადების დანახარჯს შორის.

შემოთავაზებული ქმედების შემთხვევაში, იმ მომხმარებელთა გადახდისთვის მზადყოფნა, ვისაც ეს ქმედება ეხება, შედარებულია ამ ქმედების დანახარჯებთან (ადმინისტრაციული ხარჯები, ინვესტიციები, საექსპლოატაციო ხარჯები, და სხვა). ამ ქმედებაში გამოყენებული საწარმოო რესურსების ხარჯი არის გამოუყენებელი გადახდისთვის მზადყოფნა, ალტერნატიული დანახარჯი, ანუ იგივე რესურსები სხვა მიზნით რომ ყოფილიყო გამოყენებული, მაშინ რა ეღირებოდა? ამრიგად, კეთილდღეობა არის წმინდა გადახდისთვის მზადყოფნა - მოწოდებულ საქონელსა და მომსახურებაში გადახდისთვის მზადყოფნას მინუს იმ რესურსებში გადახდისთვის მზადყოფნა, რომლებიც ამ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად იქნა გამოყენებული.

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის კრიტერიუმის თანახმად, რომელიც ქმედების განხორციელების სასარგებლოდ მეტყველებს, წმინდა გადახდისთვის მზადყოფნა 0-ზე მეტი უნდა იყოს. საუკეთესო ქმედება კი არის ის, სადაც წმინდა გადახდისთვის მზადყოფნა ყველაზე მაღალია.

როგორ გამოვითვალოთ გადახდისთვის მზადყოფნა?

იმ ბაზრებზე, სადაც თავისუფალი ვაჭრობაა, ხალხი საკუთარი ქმედებებით აჩვენებს, თუ ნივთების რა ფასად შეძენის ან გაყიდვისათვის არის მზად. ფასი იმ ბაზარზე, სადაც მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობაა, გვიჩვენებს გადახდისთვის ზღვრულ მზადყოფნას და წარმოების ზღვრულ დანახარჯებს. ამ სიდიდეების გამოყენება შეიძლება იმ პროექტებისა და წინადადებებისათვის, რომლებიც ზომით მცირეა ზომისა ამ სფეროს მთლიან მოხმარებასა და წარმოებასთან შეფარდებით. უფრო მსხვილი პროექტებისათვის უნდა შეფასდეს გადახდისთვის მზადყოფნის ფუნქცია (რაც მოთხოვნის მრუდია) და დანახარჯის ფუნქცია (რაც მიწოდების

მრუდია), შესაბამისად, მოხმარებული და წარმოებული რაოდენობების მიხედვით. ამის გაკეთება ბაზრის მონაცემებით შეიძლება.

როდესაც ბაზრის მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, როგორც ეს გარე ფაქტორების, ბუნებით თუ საზოგადოებრივი სიკეთით სარგებლობისა თუ სხვა შემთხვევებში ხდება, სხვა მეთოდები გამოიყენება. ბაზრის მონაცემებით გადახდისთვის მზადყოფნის გამოთვლის მონათესავე მეთოდია *გამოვლენილი პრეფერენციების* მეთოდი. მაგალითად, თუ დავაკვირვდებით, როგორ ირჩევენ ადამიანები სატრანსპორტო საშუალებების სახეობებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რა უღირთ მათ დრო. კიდევ ერთი მეთოდია *გაცხადებული პრეფერენციების* მეთოდი. არსებობს ბევრი მეთოდი, როდესაც ადამიანების გამოკითხვის და მათგან სწორი პასუხების მიღების გზით დგინდება ადამიანების გადახდისთვის მზადყოფნა.

დანახარჯები შეიძლება ზოგჯერ გამოყენებულ იქნეს გადახდისთვის მინიმალური მზადყოფნის დასადგენად. მაგალითად, თუ აზოტის მქავების ემისიასთან ბრძოლის ზღვრული დანახარჯი ერთ ტონაზე 20 აშშ დოლარს შეადგენს და მთავრობამ ამოქმედა რეგულაცია, რომელიც საწარმოებს ამ ნივთიერების ემისიის შემცირებას ავალდებულებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „საზოგადოება“ მზად არის უფრო სუფთა ჰაერის მისაღებად, *მინიმუმ*, ეს თანხა გადაიხადოს.

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი ბევრ სფეროში გამოიყენება

ყველაფერი კაშხლებისა და საირიგაციო სისტემების პროექტებიდან დაიწყო. მაშინ მიხვდნენ, რომ ელექტროენერჯის წარმოების გარდა, კაშხლების გამოყენება წყლის დონეების კონტროლის, დატბორვისა და ირიგაციისთვისაც შეიძლებოდა. თუმცა, კაშხლებმა თევზჭერაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. ამრიგად, გაჩნდა კითხვა: რამდენად სასურველია ამა თუ იმ პროექტის განხორციელება? ამ კითხვაზე პასუხი დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის პირველადი ვერსიით გაიცა.

შემდეგ დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი დაიხვეწა და ბევრ სხვა სფეროშიც გამოიყენება. დღეს დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი რეგულარულად გამოიყენება სატრანსპორტო მოძრაობის დაგეგმვაში - იქნება ეს საავტომობილო გზების, ველოსიპედის ბილიკების, რკინიგზის, არხებისა თუ ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების ზომების დაგეგმვა. მისი მეშვეობით ხდება მრავალი კონკურენტული პროექტის გაანალიზება და დახარისხება. გაანგარიშებაში გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა დაზოგილი დრო, დაბინძურების ხარისხი, ხმაურის დონე და ავარიები. უკვე დიდი ხანია, რაც ბევრი ქვეყანა, მათ შორის, აშშ, დიდი ბრიტანეთი და შვედეთი, დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის მეშვეობით აფასებს მარეგულირებელ ზომებს, სანამ მათ გამოყენებაზე გადაწყვეტილებას მიიღებდეს. ამ ანალიზმა პასუხი უნდა გასცეს კითხვას: არის თუ არა რეგულირება იმ ფორმით, როგორაც არის შემუშავებული, ეკონომიკურად ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით? გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაანალიზება ხშირად დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის მეშვეობით ხდება: როდესაც მიზანი ემისიის

კონკრეტულ ზღვრამდე შემცირებაა, ამ მიზნის მიღწევის რომელი გზა არის ყველაზე ეკონომიური? უნარშეზღუდული ადამიანებისთვის გადაადგილების გაადვილების ზომების შესწავლაც დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის მეშვეობით ხდება. როდესაც დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი გამოიყენება, ამ ზომებს ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლობა მოაქვს, ვინაიდან ამ გაუმჯობესებით (კარის ზღურბლების მოცილება, ლიფტების დაყენება, ავტობუსში ასასვლელი დაბალი საფეხურები და ა.შ.) სხვა ხალხიც სარგებლობს.

დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის მაგალითი

ქვემოთ განხილულ საჯარო პოლიტიკის საკითხს საჯარო მოხელე, სავარაუდოდ, ხშირად აწყდება და ეს, როგორც წესი, პოლიტიკოსების საფიქრალსაც წარმოადგენს. ეს არის ღარიბი ან ჩამორჩენილი რეგიონის განვითარების ხელშეწყობის საუკეთესო გზის პოვნის პრობლემა. მის მოსაგვარებლად მრავალი და, შესაძლოა, ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებული იდეა და პროექტი იქნეს შემოთავაზებული. როგორ გავაკეთოთ არჩევანი ისეთ განსხვავებულ ალტერნატივებს შორის, როგორცაა, მაგალითად, მადაროს მშენებლობა და ტურიზმის განვითარება? საბოლოო არჩევანს პოლიტიკოსები აკეთებენ მას შემდეგ, რაც მოქალაქეთა (ან სპეციალისტთა) მოსაზრებებს მოისმენენ; ასეთი არჩევანი მხოლოდ დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის გაანგარიშებებით ვერ მიიღება. თუმცა, დანახარჯი-სარგებლობის ანალიზი ანდა მის პრინციპებზე დაფუძნებული ანალიზი გადაწყვეტილებების მიმღებებს არჩევანის გაკეთებას უადვილებს. ყოველ შემთხვევაში, ამ ანალიზის ჩატარების მიზანი სწორედ ეს არის. იგი არჩევანის გაკეთებას ნაწილობრივ იმითაც აადვილებს, რომ ალტერნატივებს ერთმანეთს ძალზე სისტემატური გზით ადარებს და, აგრეთვე, ნაწილობრივ იმით, რომ ფაქტორებისა და განზომილებების დიდი რაოდენობა ერთ, რაღაც უფრო ყოვლისმომცველ სიდიდემდე დაჰყავს.

როგორც შევარჩიოთ ღარიბი რეგიონის განვითარების საუკეთესო გზა?

ქვეყნის ნაკლებგანვითარებული რეგიონები საყოველთაო შეშფოთების საგანია. ამ რეგიონებში მაღალია უმუშევრობა, მოსახლეობა კი დაბალშემოსავლიანია და ხელისუფლებისგან სიღარიბის შემწეობის სახით სოციალურ დახმარებას იღებს. ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა, განათლების დონე – დაბალი, საბინაო პირობები – ცუდი და ა.შ. დასაქმების ძიებაში ზოგი ადგილობრივი უფრო მდიდარ რეგიონებსა და დიდ ქალაქებში გადადის საცხოვრებლად, რაც ქვეყნის ამ ნაწილებში უმუშევრობას ზრდის. რა შეიძლება გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად?

ფიქრობენ, რომ ერთ-ერთ ღარიბ რეგიონში, რომელიც საკმაოდ მაღალმთიანია, არსებობს სამთო-მოპოვებითი საქმიანობის დაწყების შესაძლებლობები. მართლაც, ბოლოდროინდელმა კვლევებმა ამ რეგიონის მთებში რკინის მადნის მარაგების

არსებობა დაადასტურა. ამან მაღაროს გახსნის იდეა გააჩინა, რასაც სეროზული მხარდაჭერა გამოუჩნდა. მაგრამ თუკი მაღარო მოგებიანად არის მიჩნეული, რატომ არ დაიწყო აქამდე სამთო-მომპოვებელმა კომპანიამ ეს საქმიანობა?

სანამ მიმდინარეობს მსჯელობა წინადადებაზე, გაიხსნას თუ არა მაღარო (ხელისუფლების სავარაუდო მხარდაჭერით), მრეწველობის სამინისტროს რეგიონული განვითარების დეპარტამენტს ეძლევა დავალება – გაანალიზოს ალტერნატივები.

პირველ რიგში, ეს დეპარტამენტი ქმნის სამუშაო ჯგუფს. ამ ჯგუფში შედიან საკუთრივ დეპარტამენტის სტაჟიანი თანამშრომლები, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი და კვალიფიციური შემფასებელი, რომელიც ეკონომისტიცაა. ჯგუფის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდნენ რეგიონული განვითარების ინიციატორებიცა და სკეპტიკოსებიც, როგორც არის, მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი.

ნაბიჯი 1: პრობლემის სტრუქტურირება და პროექტის მიზნების განსაზღვრა

პოლიტიკის მიზანი რკინის საბადოს მაღაროს მოწყობა რომ იყოს და სხვა არაფერი, ალტერნატივა არ იარსებებდა. მაგრამ როცა მიზანი უფრო ზოგადია და დასაქმებისა და შემოსავლების ზრდას გულისხმობს, მაშინ ალტერნატივებიც ჩნდება. ვთქვათ, მიზანი რეგიონში უმუშევართა დასაქმებაა. ასევე დავუშვათ, რომ ამ ხალხის სხვა რეგიონებში დასაქმებაც კარგი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში ალტერნატივებად გამოდგებოდა ქვეყნის მასშტაბით დასაქმების ზრდის პროექტები და სტრატეგიები. მაგრამ თუკი მიზანი ერთ სპეციფიკურ რეგიონში დასაქმების ზრდაა, მაშინ ალტერნატივების რაოდენობა უფრო შეზღუდული იქნება. დასაქმება, რასაკვირველია, უნდა გულისხმობდეს ღირსეულ ანაზღაურებას და სათანადო სამუშაო პირობებს.

ამრიგად, როდესაც მიზანი რეგიონში სამუშაო ადგილების შექმნაა, არ არის აუცილებელი, რომ ეს მხოლოდ სამთო-მომპოვებითი საქმიანობის გზით მოხდეს. ამ მიზნის მისაღწევად პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტების მოძიებაც შეიძლება.

მომდევნო ნაბიჯის გადადგმამდე, რასაკვირველია, ამ რეგიონში სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გაანალიზდეს. რა შემაფერხებელი ფაქტორები არსებობს – კომუნიკაციის და ტრანსპორტირების ნაკლებობა? არასაკმარისი ელექტრიფიკაცია? განათლების დაბალი დონე? არის რეგიონში აქტივები, რომლებზედაც დაყრდნობა შეიძლება? ბუნებრივი რესურსები? ლამაზი ბუნება? ადგილობრივი მოსახლეობის უნარები?

ნაბიჯი 2: ალტერნატივების განხილვა

როდესაც მიზანი რეგიონში სამუშაო ადგილების შექმნაა, დგება საკითხი, არსებობს თუ არა ამის გაკეთების ალტერნატიული გზები. ადგილობრივი მოსახლეობა და ზოგი ადგილობრივი პოლიტიკოსი მაღაროს იდეას არ ემხრობა,

ვინაიდან ფიქრობენ, რომ მათი მშვენიერი მიწა-წყალი დაზარალდება. ეს ხალხი ლაპარაკობს ნაპირსამაგრი დამბებიდან ჩამონადენი წყლებით გამოწვეული დაბინძურების რისკზე. მაგრამ ამის ნაცვლად, ადგილობრივების შემოთავაზებაა ერთობლივი ძალისხმევით ტურისტების მოზიდვა მათ მშვენიერ, მაგრამ ნაკლებად ცნობილ რეგიონში.

სხვა ალტერნატივებს შორის არის ან ახალი ავტომაგისტრალის მშენებლობა ამ მოშორებულ რეგიონამდე, რაც მას უფრო ხელმისაწვდომს გახდის, ან პროფესიული სასწავლო ცენტრების გახსნა განათლების სტანდარტების ასამაღლებლად ანდა მეტყვევების განვითარება.

პოლიტიკის ფართო ანალიზში ხუთივე ალტერნატივის განხილვა და შედარება უნდა მოხდეს. დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის ილუსტრირების მიზნით ჩვენ შევასრულეთ სავარჯიშოს, რომელიც ორ ალტერნატივას – მადაროს გახსნას და ტურიზმის განვითარებას – ითვალისწინებს. ცხადია, გაანალიზდება „უცვლელად დატოვების“ ალტერნატივაც.

ნაბიჯი 3: კონკრეტული ალტერნატივები

მადარო

პირველ რიგში, შემფასებლებმა თითოეული ალტერნატივა უფრო ზუსტად უნდა განსაზღვრონ. ისინი მადაროს პროექტით იწყებენ.

კონკრეტულად რა მოჰყვება რეგიონში რკინის მადნის მადაროს გახსნას და ხელისუფლების დახმარებით ამის გაკეთებას? შემფასებლები ამ საკითხს სამთო-მომპოვებელ კომპანიებთან, სამთო-მოპოვებითი მრეწველობის დამოუკიდებელ ექსპერტებთან, გადაწყვეტილებების მიმღებებთან (რეგიონული განვითარების დეპარტამენტის მენეჯერებთან) და ადგილობრივი და ეროვნული დონის პოლიტიკოსებთან განიხილავენ. ამ ალტერნატივასთან დაკავშირებით მიღებული სურათი ასეთია:

- იმისათვის, რომ მადარო პროდუქტიული იყოს (მოგებიანი თუ არა), წელიწადში, მინიმუმ, 10,000 ტონა რკინის მადანს უნდა აწარმოებდეს. ეს მადაროში, მინიმუმ, 1,000 ადამიანის დასაქმებას მოითხოვს. თუ რკინის მადნის საბადო მარაგებით მდიდარი აღმოჩნდა და რკინის მადნის ფასმაც მოიმატა, მეტი ადამიანის დასაქმება იქნება შესაძლებელი.
- იმისათვის, რომ მადაროს ასამუშავებლად საჭირო თანხების ინვესტირება მოხდეს, მარაგი იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ, მინიმუმ, 50 წლის განმავლობაში არ უნდა ამოიწუროს.
- გარდა ამისა, უნდა აშენდეს საავტომობილო გზა მძიმე სატვირთო მანქანებისთვის.

- მეორე მხრივ, საბინაო და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა არ არის საჭირო, ვინაიდან მახლობლად არის ბევრი სოფელი და დაბა.
- მუშახელის უმეტესობის აყვანა ადგილობრივი მოსახლეობიდან შეიძლება, მაგრამ საჭირო იქნება ქვეყნის სხვა რეგიონებიდან 100-მდე ექსპერტის დაქირავება.
- რასაკვირველია, სამთო-მომპოვებელი კომპანია მზად უნდა იყოს დააბანდოს და ამუშავოს მაღარო, სავარაუდოდ, ხელისუფლების რაღაც დახმარებით.

ყველა კომპონენტის დაკონკრეტება

კონკრეტული ალტერნატივა, რომელიც უნდა შევაფასოთ, ითვალისწინებს საწარმოს - თავად მაღაროსა და სასაწყობო მეურნეობის - შექმნას. საჭიროა გზების ფაქტობრივად საკმაოდ გრძელი მაგისტრალის მშენებლობა, ვინაიდან რეგიონი მთავარი სატრანსპორტო არტერიებიდან საკმაოდ დაშორებულია. ეს ალტერნატივა არ ითვალისწინებს ბურთულების დასამზადებლად გამწმენდი ღუმლის, ფოლადსასხმელი ქარხნისა და მსგავსი საწარმოების მოწყობას, ვინაიდან ასეთი საწარმოები, თან საკმარისი სიმძლავრის მქონე, სხვაგან ფუნქციონირებს. საცხოვრებელი ბინები, სკოლები, საავადმყოფოები, მაღაზიები, დასასვენებელი და გასართობი ადგილები და სხვა, რომლებიც მუშახელს სჭირდება, უკვე არსებობს და ამიტომ მათი პროექტში გათვალისწინება არ არის საჭირო.

რთული შეფასებაა გასაკეთებელი პერსონალთან დაკავშირებით: რამდენად შესაძლებელია საჭირო პერსონალის ადგილობრივი მოსახლეობიდან დაქირავება? რა შესაძლებლობები არსებობს დაქირავებული ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრენინგის ჩასატარებლად? რა მოცულობის ტრენინგია საჭირო?

ამრიგად, ეს ალტერნატივა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- მაღარო და სასაწყობო მეურნეობა
- გზა
- პერსონალის ტრენინგი
- სხვა რეგიონებიდან ექსპერტების დაქირავება

ტურიზმის განვითარება

რა არის საჭირო ტურიზმის ისე განსავითარებლად, რომ რეგიონში სამუშაო ადგილები შეიქმნას? ამ შემთხვევაშიც შემფასებლები კონსულტაციებს ტურისტულ ბიზნესში მომუშავე ადამიანებთან, ტურიზმის ეკონომიკის მკვლევრებსა და მრეწველობის სამინისტროში ტურიზმის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებთან გადიან; მიღებული სურათი ასეთია:

- საჭიროა ერთი ძირითადი კურორტი მთებში, რომელიც ზამთარ-ზაფხულ შეძლებს ფუნქციონირებას.

- ასევე უნდა მოეწყოს ბუნგალოები, რომლებიც გაქირავდება, და რამდენიმე პარკინგი მობილური სახლებისთვის (საცხოვრებელი ავტოფურგონებისთვის).
- ველურ ბუნებაში მარშრუტებისთვის ექსკურსიამდლოლება საჭირო, რომლებსაც ტრენინგი უნდა ჩაუტარდეთ.
- საჭიროა უწყვეტი სარეკლამო კამპანიის წარმოება.
- რეგიონის მთავარ ქალაქში უნდა ფუნქციონირებდეს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.

კიდევ ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს, მაგრამ ზემოჩამოთვლილი საკმარისი იქნება ტურიზმის იმ მასშტაბით პოპულარიზაციისთვის, რომელიც ეკონომიკურად რენტაბელური იქნება.

ნაბიჯი 4: თითოეული ალტერნატივის მიახლოებით გაანგარიშება

მალაროს გახსნის უბეში გათვლები

უბეში უნდა გაანგარიშდეს მალაროს ძირითადი კომპონენტები, რაც შევა დანახარჯი-სარგებლობის წინასწარ შეფასებაში.

წინასწარი შეფასება: მალარო

	ხარჯები	სარგებელი
სამთო-მომპოვებელი კომპანიის ზარალი	დაახლოებით 10 მილიონი ლარი წელიწადში	
ინვესტიციები გზის მშენებლობაში	10 მილიონი ლარი წელიწადში	
გზის მოვლა-შეკეთება	1 მილიონი ლარი წელიწადში	
ბუნებაში ჩარევა	გზები, დამბები, ქვაბული	
დაბინძურება	ჩამონადენი წყლები, სატვირთო ავტომობილების გამონაბოლქვი	
პირდაპირი და ირიბი დასაქმება		1,000-2,500 = 12-30 მილიონი ლარი წელიწადში
პერსონალის ტრენინგი	0,5 მილიონი ლარი	
სულ	+0,5-+18,5 მილიონი ლარი წელიწადში მინუს 5 მილიონი ლარის ინვესტიცია, ბუნებაში ჩარევა, დაბინძურება	

სანამ სრული შეფასება გაკეთდება, პროექტის სიცოცხლისუნარიანობის პირველადი მიახლოებითი გაანგარიშება უნდა შესრულდეს, რისთვისაც საჭიროა

ყველა შესაძლო შედეგის დადგენა და ჩამოთვლა. მაღაროს პროექტის შემთხვევაში იქნება შემდეგნაირი ჩამონათვალი:

- ინვესტიცია და საექსპლოატაციო ხარჯები მაღაროსა და სასაწყობე მეურნეობისათვის.
- ინვესტიცია გზის მშენებლობაში და გზის საექსპლოატაციო ხარჯები; საექსპლოატაციო ხარჯები მაღალი იქნება, ვინაიდან სატვირთო მანქანების ამორტიზაცია დიდია, გზა კი მთელი წლის განმავლობაში (ზამთრის ჩათვლით) უნდა ფუნქციონირებდეს.
- მაღარო გამოიწვევს ველურ ბუნებაში ჩარევას.
- გადატვირთული მოძრაობა გამოიწვევს დაბინძურებას.
- დასაქმდება 1,000-2,500 ადამიანი, მათ შორის, ირიბად მომსახურების სფეროში, მაღაზიებში და ა.შ. ზოგი ადამიანის დაქირავება ქვეყნის სხვა რეგიონებიდან მოხდება. ასეთ ადამიანებს კი სამუშაო უკვე აქვთ.
- დაახლოებით 50 ადამიანი ირიბად დასაქმდება მომსახურების სფეროსა და მაღაზიებში.

ძირითადი ხარჯების უბეში გათვლები

რომ გავიგოთ, ღირს თუ არა ამ ალტერნატივის შესწავლის გაგრძელება, უნდა გავიანგარიშოთ მთლიანი ხარჯი და სარგებელი. მსხვილ ხარჯებში შედის:

- მაღაროსა და სასაწყობე მეურნეობის ინვესტიციები და საექსპლოატაციო ხარჯები: ამ ხარჯების უდიდესი ნაწილი გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლით უნდა დაიფაროს. თუმცა, შესაძლოა იყოს ზარალი, რომელიც სახელმწიფომ უნდა დაფაროს. თუ არ იქნება ზარალი, მაღარო თავისით იმუშავებს და სახელმწიფოს მხოლოდ გზების მშენებლობის დაფინანსება მოუწევს. მაგრამ ზარალის შემთხვევაშიც კი, ეს ალტერნატივა შეიძლება მაინც მომგებიანი იყოს სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. დავუშვათ, რომ ზარალის ის ოდენობა, რომელიც შეიძლება პოლიტიკურად იყოს მისაღები, მაქსიმუმ, 10 მილიონი ლარია წელიწადში.
- გზის მშენებლობაში ინვესტიცია - 10 მილიონი ლარი; წლიური საექსპლოატაციო ხარჯი - 1 მილიონი ლარი.
- ბუნებაში ჩარევის და დაბინძურების ხარჯებიც არსებობს, რასაც ამ შეფასების მომდევნო საფეხურზე გავიანგარიშებთ.

ძირითადი სარგებლის უბეში გათვლები

რკინის მადნის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მეტ-ნაკლებად აბათილებს წარმოების ხარჯებს, მათ შორის, კაპიტალურ დანახარჯებს ინვესტიციებიდან. შედეგად მიიღება მოგება (მწარმოებლის ნამატი), რომელიც აღირიცხება სარგებლად,

ანდა ზარალი (მწარმოებლის უარყოფითი ნამატი), რომელიც აღირიცხება ხარჯად (როგორც ზემოთ აღინიშნა). პროექტის მთავარი სარგებელია:

- 1,000-2,500 ადამიანის დასაქმება (თუ მაღარო ძალიან წარმატებულია) რეგიონში. მათი ერთობლივი შემოსავალი წელიწადში დაახლოებით 12-30 მილიონი ლარი იქნება.

შეფასება

მაღაროს პროექტი ჯერჯერობით სიცოცხლისუნარიანი ჩანს. უხეში გათვლებით, იგი წელიწადში 0,5-18,5 მილიონი ლარის მოგებას აჩვენებს, რასაც გამოაკლდება გარემოსდაცვითი ხარჯები და საგზაო ინვესტიციის ამორტიზაცია. ამიტომ საწარმოს სპეციფიკაციაზე, ასაშენებელი გზების დეტალურ გეგმებსა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მონაცემზე დაყრდნობით, სწორი ვარაუდი იქნებოდა შესწავლის გაგრძელება და უფრო ღრმა გაანგარიშების გაკეთება. თუმცა ეს ვარაუდი ეფუძნება დაშვებას, რომ კომერციული დანაკარგი წელიწადში, მაქსიმუმ, 10 მილიონი ლარი იქნება. ეს, ალბათ, გაანგარიშების ყველაზე მნიშვნელოვანი დასაზუსტებელი ელემენტია. ამის გაკეთება მხოლოდ სამთო-მომპოვებელ კომპანიებთან მოლაპარაკებების შემდეგ (სავარაუდოდ, სატენდერო რაუნდის შემდეგ) არის შესაძლებელი.

ტურიზმის განვითარების უხეში გათვლები

ტურიზმის ალტერნატივის უხეში გაანგარიშება და ამ გაანგარიშების წინასწარი დანახარჯი-სარგებლობის შეფასებაში შეტანაც ანალოგიურად კეთდება.

წინასწარი შეფასება: ტურიზმი

	ხარჯები	სარგებელი
ტურიზმის ოფისი	0,4 მილიონი ლარი წელიწადში	
რეკლამა	0,3 მილიონი ლარი წელიწადში	
გიდების ტრენინგი	პირველ წელს 1 + 0,2-1 მილიონი ლარი წელიწადში	
ძირითადი კურორტის ზარალი/მოგება	-1+2 მილიონი ლარი წელიწადში	
ბუნგალოების ზარალი/მოგება	-0,5+1 მილიონი ლარი წელიწადში	
პირდაპირი და ირიბი დასაქმება		200-5,000=2,4-60 მილიონი ლარი წელიწადში
სულ	0-61,3 მილიონი ლარი წელიწადში მინუს 1 მილიონი ლარის ტრენინგი პირველ წელს	

ტურიზმის ალტერნატივა ხარჯებისა და სარგებლის საკმაოდ განსხვავებულ მონაცემებს გვაძლევს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ტურიზმის პოპულარიზაციის კამპანიის შედეგი ნაკლებად პროგნოზირებადია. ტურიზმის სხვადასხვა სპეციალისტი რეგიონში ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობის ძალზე განსხვავებულ შეფასებებს იძლევა. გარდა ამისა, ბევრი სხვა რეგიონიც კონკურენტულია ამ სფეროში. ამრიგად, ამ ალტერნატივით შექმნილი სამუშაო ადგილები შეიძლება 200-დან 5,000 დასაქმებულამდე მერყეობდეს.

შეფასება

მიუხედავად ზემოთქმულისა, ამ ალტერნატივის საინვესტიციო ხარჯები ბევრად ნაკლებია. შესაბამისად, ძალზე ცოტა ტურისტის მოზიდვის შემთხვევაში, ტურიზმი, მართალია, გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეიძლება სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივა აღმოჩნდეს სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. მეორე მხრივ, ის ძალიან წარმატებული პროექტიც შეიძლება იყოს.

ორი ალტერნატივის უხეში შედარება

მაღაროს პროექტთან შედარებით, ტურიზმის ალტერნატივას შემდეგი ძლიერი მხარეები აქვს:

- ნაკლები საინვესტიციო ხარჯები;
- ნაკლებმასშტაბური ჩარევა ბუნებაში;
- რეგიონის მოსახლეობის კვალიფიკაციისთვის უფრო შესაფერისი სამუშაო ადგილები, ანუ ადგილობრივების დასაქმების მეტი პოტენციალი;
- ირიბი დასაქმების მრავალფეროვანი შესაძლებლობა;
- რეგიონში ტურიზმის ინდუსტრიის ზრდის პოტენციალი.

სუსტი მხარეებია:

- ტურისტების წარმატებით მოზიდვის პროგნოზი ნაკლებსაიმედოა, ვიდრე რკინის მადნის მოპოვების პროგნოზი; ამიტომ ახალი სამუშაო ადგილების გაანაგრიშება ძალზე განსხვავებულ მონაცემებს გვაძლევს.
- დაბალკვალიფიციური სამუშაო ადგილები (მზარეული, მომსახურე პერსონალი; მაშინ, როდესაც მაღაროს პროექტის შემთხვევაში დასაქმება მაღალკვალიფიციურია - ბურღვის, მენეჯმენტის და საინჟინრო სფეროების სპეციალისტები).

ამ შედარებებს მივყავართ დასკვნამდე - გაგრძელდეს ორივე ალტერნატივის უფრო ღრმად შესწავლა და რაოდენობრივად განისაზღვროს და შეფასდეს ყველა შედეგი.

შეფასების დასრულების ეტაპს როდესაც მივუახლოვდებით, სასურველია მოხდეს შერჩეული პროექტის ოპტიმიზაცია. ოპტიმიზაცია გულისხმობს პროექტის მასშტაბის ცვლას იმისათვის, რომ განისაზღვროს, რა სიდიდის და რა ტიპის პროექტი იქნება ყველაზე მოგებიანი.

ნაბიჯი 5: „უცვლელად დატოვების“ ალტერნატივის შედეგების რაოდენობრივი განსაზღვრა

ფაქტობრივად, პირველი ალტერნატივა, რაც ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს თავში მოუვა და შემოგთავაზებთ, „უცვლელად დატოვების“ ალტერნატივა იქნება (რომელსაც ხშირად „ნულოვან“ ალტერნატივას უწოდებენ). აქ უნდა დაისვას კითხვა: აქვს თუ არა საერთოდ აზრი რომელიმე შემოთავაზებული პროექტის განხორციელებას? პროექტის განხორციელება რომ ღირდეს, მას მეტი სარგებელი უნდა მოჰქონდეს, ვიდრე ხარჯი. ეს რომ დავადგინოთ, უნდა გავაანალიზოთ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ პროექტი საერთოდ არ განხორციელდება. მაღაროსა და ტურიზმის პროექტები უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, რასაც მათი განხორციელება *დამატებით* მოიტანს იმ ვითარებასთან შედარებით, თუკი ეს პროექტები საერთოდ არ განხორციელდება. ამრიგად, უნდა გვქონდეს სურათი იმისა, რა მოხდება, თუ „არაფერი“ გაკეთდა. ეს იქნება ათვლის წერტილი.

„უცვლელად დატოვების“ ალტერნატივა არ ნიშნავს დღეს არსებული სიტუაციის უცვლელად შენარჩუნებას. „უცვლელად დატოვების“ ალტერნატივა არის პროგნოზი იმისა, თუ რა მოხდება „საქმიანობის ჩვეული გზით“ გაგრძელების შემთხვევაში. საქმიანობის ჩვეული გზით გაგრძელება გაანგარიშებებზე შემდეგნაირად იმოქმედებს:

- მაღარო რომც არ გაიხსნას, მომდევნო 10 წლის განმავლობაში გზები, სხვა მიზეზთა გამო, მაინც შეკეთდება. ეს ნიშნავს, რომ მაღაროს ალტერნატივას ახალი გზების მშენებლობის სრული ხარჯის გაწევა კი არ მოუწევს, არამედ მხოლოდ იმ ხარჯისა, რაც დამატებით იქნება საჭირო, გზები რომ სატვირთო მანქანებისთვის ვარგისი გახდეს. ეს დამატებითი ხარჯი სრული ხარჯის მხოლოდ ნახევარს შეადგენს, თუმცა სატვირთო მანქანებისთვის გზის ექსპლუატაცია მთელი წლის განმავლობაში გზის საექსპლოატაციო ხარჯებს წელიწადში ერთი მილიონი ლარით გაზრდის.
- მუშახელის ტრენინგი ნებისმიერ შემთხვევაში ჩატარდება (ოღონდ სხვა რეგიონებში) არსებული სამთავრობო პროგრამის ფარგლებში; ამრიგად, სამთავრობო პროგრამის ხარჯის ნაწილი შეიძლება გაანგარიშებას გამოვაკლოთ (ანდა შემოსავლად აღვრიცხოთ), ვინაიდან შემოთავაზებული პროექტი სამთავრობო პროგრამის შემცვლელი იქნება.

- ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა დამოკიდებული იქნება დასაქმებაზე ორიენტირებულ სხვა პროექტებზე, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს. სამუშაო ადგილების რაოდენობა თანდათან მოიმატებს და მომდევნო 10 წლის განმავლობაში, სავარაუდოდ, საშუალოდ 5,000-ს მიაღწევს. რეალისტურად უნდა შევავასოთ მაღაროს ამუშავების შედეგად დასაქმების წმინდა მატება და გავიაზროთ, რომ მაღარო რეგიონის ყველაზე განათლებული ახალგაზრდების ნაწილს აითვისებს, რაც სხვა ბიზნესპროექტების წამოწყებას შეაფერხებს.
- რეგიონში სამუშაო ადგილების შექმნა შეამცირებს მიგრაციას ქვეყნის დედაქალაქსა და ეკონომიკური საქმიანობის სხვა „ცხელ“ ადგილებში, სადაც საცხოვრებელი ფართისა და ინფრასტრუქტურის დეფიციტია. ამიტომ რაც უფრო ნაკლები ხალხი გადავა იქ საცხოვრებლად, მით უფრო შემცირდება სახლების, სკოლების, გზებისა და ა.შ. მშენებლობის საჭიროება. ყოველ ერთ დასაქმებულზე ღარიბ რეგიონში (სადაც საცხოვრებელი ფართის და ინფრასტრუქტურის სიჭარბეა) შეიძლება დაიზოგოს 50,000 ლარის ინვესტიცია საბინაო და ინფრასტრუქტურის მშენებლობაში ეკონომიკური საქმიანობის „ცხელ“ ადგილებში. ეს იქნება რეგიონში ნებისმიერი წარმატებული პროექტის სარგებელი.

„უცვლელად დატოვების“ ალტერნატივის ეს შედეგები ჩაითვლება ათვლის წერტილად, რომლის მიხედვითაც გაიზომება სხვა ალტერნატივების დამატებითი ხარჯები და სარგებელი.

ალტერნატივების პროგნოზები, წინაპირობები და რისკები

შედეგები უნდა გაანგარიშდეს არა მხოლოდ პირველი წლისთვის, არამედ ალტერნატივების ექსპლუატაციის მთელი ვადის, ანდა საანგარიშო პერიოდისთვის. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ასეთი პროგნოზები არ არის საიმედო.

მაღაროს პროექტის შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი პროგნოზების არასაიმედოობა:

- მაღაროს კომერციული დანაკარგის პროგნოზირება ძნელია, განსაკუთრებით მომავალი წლებისათვის. შეიძლება მაღარო მომგებიანი სულ რამდენიმე წელიწადში გახდეს. რკინის მადნის ფასი ძალზე მერყევია და მსოფლიო ეკონომიკის ციკლის მიხედვით იცვლება. შესაბამისად, გაანგარიშებისას უნდა ავიღოთ დანაკარგების დიაპაზონი - 5-დან -20 მილიონ ლარამდე წელიწადში.
- სამთო-მომპოვებელი კომპანიის მაღაროს ასამუშავებლად მოზიდვისთვის მთავრობას მოუწევს წარმოების სუბსიდირება. გაანგარიშებაში ავიღოთ წელიწადში მაქსიმუმ 10 მილიონი ლარის სუბსიდია მაქსიმუმ 10 წლის განმავლობაში და იმედი ვიქონიოთ, რომ ეს საკმარისი იქნება. ეს სამთავრობო დახმარება დაფარავს მაღაროში დაბანდებულ საწყის ინვესტიციებს და კომპანია

გარანტირებულად დაიბრუნებს საკუთარ ფულს, თუ მას 10 წლის განმავლობაში 100 მილიონი ლარის ზარალი ექნება.

- ნავარაუდევია, რომ მაღარო 1,000 ადამიანს დაასაქმებს, თუმცა შეიძლება მეტიც დასაქმდეს. თუ მადნის დიდი მარაგებია და რკინის მადნის ფასი გაიზარდა, მაღაროში შეიძლება მეტი ადამიანი დასაქმდეს - 2,500 კაცამდეც კი. გაანგარიშება უნდა გავაკეთოთ როგორც 1,000, ასევე 2,500 ახალ სამუშაო ადგილზე.

ტურიზმის პროექტის რომელი პროგნოზები შეიძლება იყოს არასაიმედო?

- საწყისი ინვესტიციები კურორტში, ბუნგალოებსა და ა.შ. პლუს საექსპლოატაციო ხარჯები უნდა დაიფაროს შემოსავლით, თუმცა, შესაძლებელია, ამ პროექტმა წაგებაც ნახოს. ჩამოსული ტურისტების რაოდენობა ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრია. ცოტა ტურისტის ჩამოსვლა ზარალს ნიშნავს, ბევრისა - მოგებას. უშუალოდ კურორტსა და ბუნგალოებში დასაქმების გარდა, ბევრი ირიბი სამუშაო ადგილი გაჩნდება კაფეებში, საექსკურსიო სააგენტოებში, საოჯახო ტიპის სასტუმროებში, მაღაზიებში და ასე შემდეგ. 10,000 ტურისტის შემთხვევაში, კურორტის ზარალი წელიწადში 1 მილიონი ლარი იქნება, თუმცა 50,000 ტურისტი წელიწადში 2 მილიონი ლარის მოგებას მოიტანს. ბუნგალოების შემთხვევაში კი, ტურისტთა ზემოაღნიშნული რაოდენობები წელიწადში, შესაბამისად, ნახევარი მილიონი ლარის ზარალს ან 1 მილიონი ლარის მოგებას ნიშნავს. დასაქმების დიაპაზონი ძალიან დიდი იქნება - 200 ახალი სამუშაო ადგილიდან 5,000-მდე, ირიბი დასაქმების ჩათვლით.

არასაიმედოობა, რასაკვირველია, „უცვლელად დატოვების“ ალტერნატივის პროგნოზებსაც ახასიათებს. გზების გაუმჯობესების და მუშახელის ტრენინგის სამთავრობო პროგრამები შეიძლება შეიცვალოს ანდა მათი განხორციელება გადაიდოს; რეგიონში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივაზე აგრეთვე შეიძლება იმოქმედოს ეკონომიკის მდგომარეობამ (ზრდა ან რეცესია). ასევე არასაიმედოა დედაქალაქსა და ეკონომიკური საქმიანობის სხვა „ცხელ“ პუნქტებში მიგრაციის პროგნოზი. ყოველთვის გასათვალისწინებელია, თუ როგორ იმოქმედებს ამგვარი ცვლილებები ალტერნატიული პროექტების ხარჯებსა და სარგებელზე.

**შედეგების რაოდენობრივი განსაზღვრა „უცვლელად დატოვების“ გათვალისწინებით:
მაღარო**

	ხარჯები	სარგებელი
სამთო-მომპოვებელი კომპანიის ზარალი	-5 - -20 მილიონი ლარი წელიწადში	
ინვესტიციები გზის მშენებლობაში	10 მილიონი ლარი	5 მილიონი ლარი*
გზის მოვლა-შეკეთება	1 მილიონი ლარი	
დაზიანებული ლანდშაფტი	30 კმ ²	
დამბიდან ჩამონადენი	10,000 ოჯახის რეზერვუარებზე ზემოქმედება	
სატვირთო ავტომობილების გამონაბოლქვი CO2	250,000 – 500,000 ტონა წელიწადში	
სატვირთო ავტომობილების გამონაბოლქვი NOX	100,000 – 200,000 ტონა წელიწადში	
სამუშაო ადგილების შექმნა	500*	1,000-2,5000
პერსონალის ტრენინგი	0,5 მილიონი ლარი წელიწადში	0,5 მილიონი ლარი წელიწადში*
მიგრაციის შემცირება		500 – 2,000 ოჯახი*
სამთავრობო სუბსიდია	10 მილიონი ლარი წელიწადში	
შემდგომი განვითარების პოტენციალი		მაღალტექნოლოგიური წარმოება

* აღებულია „უცვლელად დატოვების“ ალტერნატივიდან

რამდენადაც შესაძლებელია, რაოდენობრივად უნდა განვსაზღვროთ შეფასებული შედეგები, რა დროსაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს „უცვლელად დატოვების“ ალტერნატივას და პროგნოზების არასაიმედოობას. რაოდენობრივი განსაზღვრა უნდა მოხდეს მომდევნო ნაბიჯის შედეგების შეფასებისთვის და უნდა შეირჩეს ისეთი ინგრედიენტები, რომლებსაც ფასები და ღირებულებები მიეზღვევა.

„უცვლელად დატოვების“ ალტერნატივიდან ავიღებთ: 1) იმ საინვესტიციო ხარჯებს, რომლებსაც მთავრობა გზების მშენებლობაზე დაზოგავს, თუ მაგისტრალის მშენებლობა მაღაროს პროექტში შევა; 2) პროფესიული ტრენინგის ხარჯებს, რომლებსაც მთავრობა დაზოგავს, რადგან რეგიონის ზოგი მცხოვრები ტრენინგს მაღაროს პროექტის ფარგლებში გაივლის. ორივე ხარჯი სარგებელი იქნება; 3) შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა 500 ადამიანით შემცირდება, რომლებიც უკვე დასაქმებული იქნებიან ან დასაქმდებიან რეგიონში. ეს წარმოადგენს ხარჯს ან სამუშაო ადგილების წმინდა ნამატის შემცირებას,

დაბოლოს - 4) დავამატებთ სხვა რეგიონებში მიგრაციის შემცირების შედეგს. ეს შეიძლება იყოს 500-დან 2,000-მდე ადამიანით ნაკლები, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი იქნება სამუშაო ადგილების წმინდა ნამატი.

ყოველთვის არსებობს ხარისხობრივი, ანუ „რბილი“ ხასიათის შედეგები, რომელთა რაოდენობრივი შეფასება ძნელია. მაგრამ მათი გათვალისწინებაც აუცილებელია! ასეთი შედეგია, მაგალითად, კვალიფიციური მუშახელით მაღალტექნოლოგიური მრეწველობის შემდგომი განვითარება რეგიონში. ეს შედეგი მხედველობაშია მისაღები, მაგრამ რაოდენობრივად არ განისაზღვრება. ანალოგიურად, ძნელი შეიძლება აღმოჩნდეს ბუნებაში ჩარევის შედეგის რაოდენობრივი შეფასება.

**შედეგების რაოდენობრივი განსაზღვრა „უცვლელად დატოვების“ გათვალისწინებით:
ტურიზმი**

	ხარჯები	სარგებელი
ტურიზმის ოფისი	0,4 მილიონი ლარი წელიწადში	
რეკლამა	0,3 მილიონი ლარი წელიწადში	
გიდების ტრენინგი	პირველ წელს 1 + 0,2-1 მილიონი ლარი წელიწადში	
ძირითადი კურორტის ზარალი/მოგება	-1 - +2 მილიონი ლარი წელიწადში	
ბუნგალოების ზარალი/მოგება	-0,5 - +1 მილიონი ლარი წელიწადში	
პირდაპირი და ირიბი დასაქმება	50-100*	200-5,000 = 2,4-60 მილიონი ლარი წელიწადში
დანაგვიანება	5 ძირითადი ტერიტორია - 100 კმ ²	
ავტომობილების გამონაბოლქვი CO2	5,000 – 50,000 ტონა წელიწადში	
ავტომობილების გამონაბოლქვი NOX	1,000 – 10,000 ტონა წელიწადში	
მიგრაციის შემცირება		150 – 4,900 ოჯახი*
სამთავრობო სუბსიდია	1,5 მილიონი ლარი წელიწადში	
შემდგომი განვითარების პოტენციალი		ტურისტული ინფრასტრუქტურა

* აღებულია „უცვლელად დატოვების“ ალტერნატივიდან

„უცვლელად დატოვების“ ალტერნატივიდან შევიყვანთ 50-100 ადამიანს, რომლებიც დასაქმებული არიან ანდა დასაქმდებიან, რაც ამცირებს ტურიზმის პროექტის მემწეობით სამუშაო ადგილების წმინდა ნამატს. ემიგრანტების შემცირებული რაოდენობა 150-დან 4,900 ადამიანამდე მერყეობს, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი იქნება სამუშაო ადგილების წმინდა ნამატი.

მხედველობაში მიიღება, თუმცა რაოდენობრივად არ განისაზღვრება, ინფრასტრუქტურა რეგიონში ტურისტული ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის. დაბინძურება შეიძლება შეფასდეს ტერიტორიის დასუფთავების მომსახურების ხარჯით.

ნაბიჯი 6: საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობის განსაზღვრა

მთავრობა მზად არის გააკეთოს რამე ღარიბი რეგიონების ხელშესაწყობად, თუმცა უნდა განსაზღვროს ზღვრული ვადა. მთავრობის დახმარება 10 წლის განმავლობაში გონივრულ ვადად არის მიჩნეული. ამ ვადის გასვლის შემდეგ ახალი გადაწყვეტილებები იქნება მისაღები. მაღარო თუ კურორტი და ბუნგალოები უფრო დიდხნიანია, მაგრამ ათწლიანი ვადით გადაწყვეტილებისთვის ეს დახმარება მისაღებია. თუ არჩეული ალტერნატივა პირველი ათი წლის განმავლობაში წამგებიანია, თუმცა პერსპექტივა აქვს, რომ მერე გახდეს მომგებიანი, არ უნდა მოხდეს მისი უფრო მეტ პერიოდზე გაანგარიშება? ასეთმა გათვლამ, პრინციპში, შეიძლება გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს, მაგრამ აქ ჩნდება კითხვა: რამდენად რეალურია ეს? ამრიგად, გაანგარიშებას მხოლოდ 10 წელიწადზე ვაკეთებთ.

ნაბიჯი 7: შესწორების (ფასდაკლების) საპროცენტო ნორმის შერჩევა

საანგარიშო პერიოდში უნდა შეჯამდეს წლების განმავლობაში გაწეული ხარჯები და მიღებული სარგებელი. დღევანდელი 10 მილიონი ლარის ხარჯი ან ამდენივე სარგებელი ერთი წლის შემდეგ არ ეღირება იმდენი, რამდენიც დღეს. ერთი წლის შემდეგ 10 მილიონი ლარის ღირებულება დღეს 9,62 მილიონი ლარია, რადგან დღეს რომ 9,62 მილიონი ლარი გვექონდეს და ანაბარზე დავდოთ, რომელსაც 4%-იანი სარგებელი დაერიცხება, ერთ წელიწადში მივიღებთ 10 მილიონ ლარს. რაც უფრო მაღალია საპროცენტო ნორმა, მით ნაკლებია მომავალი თანხების ღირებულება. მომავალი ღირებულების შესწორების (ფასდაკლების) სათანადო საპროცენტო ნორმა, ინფლაციის გაუთვალისწინებლად (იხ. ნაბიჯი 8), 4%-ია, რაც მთლიანად ეკონომიკის ზრდის ტემპის ტოლია. რომ არსებობდეს ბევრი ძალზე მომგებიანი სახელმწიფო თუ კერძო საინვესტიციო პროექტი, რომლებიც ძირითადი ფონდების მოსაპოვებლად ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, საპროცენტო ნორმა შეიძლება იყოს უფრო მაღალი. მომავალი თაობების კეთილდღეობაზე ზრუნვის შემთხვევაში, საპროცენტო ნორმა, ალბათ, უფრო დაბალი - 2% ან 0%-იც კი იქნებოდა.

ნაბიჯი 8: შედეგების შეფასება

ახლა მზად ვართ, უფრო ზუსტად გავიანგარიშოთ ხარჯები და სარგებელი, ვიდრე გავაკეთეთ პირველი უხეში გაანგარიშების დროს. ამ გაანგარიშებას ორი ალტერნატივისთვის ვაკეთებთ: თავდაპირველი წინადადება (მალარო) და ალტერნატიული წინადადება (ტურისტული პროექტი). გაანგარიშება ეფუძნება შეფასებული შედეგების ჩამონათვალს.

- ხარჯები და სარგებელი იმის მიხედვით აღირიცხება, თუ რას მატებს ისინი „უცვლელად დატოვების“ ალტერნატივას.
- პროგნოზების არასაიმედოობა სხვადასხვაგვარად შეიძლება აღირიცხოს. ამ შემთხვევაში განსხვავებულ პროგნოზებს - უმცირეს და უდიდეს სიდიდეებს - ვიღებთ.
- ხარჯებისა და სარგებლის გაანგარიშებები კეთდება იმისათვის, რომ სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები აისახოს. ასევე არსებობს და უნდა აღირიცხოს სახელმწიფო და კერძო ეკონომიკური ღირებულებები და ფინანსური შედეგებიც. თუმცა, ეს აქ არ კეთდება.
- სოციალურ-ეკონომიკურ ღირებულებებს ვიღებთ საბაზრო ფასებიდან და გადახდისთვის მზადყოფნის შეფასებებიდან.
- ინფლაციისთვისაც ვიყენებთ საბაზრო ფასებს და დღევანდელ და მომავალ სოციალურ-ეკონომიკურ ღირებულებებში გადახდისთვის მზადყოფნას. ამას, ჩვეულებრივ, „ფიქსირებულ ფასებში“ გაანგარიშებას უწოდებენ. ამიტომ შესწორების საპროცენტო ნორმა უკუგების რეალური ნორმა იქნება.
- გაანგარიშებები კეთდება იმისათვის, რომ შევადაროთ ალტერნატივები. შეიძლება გამოირიცხოს ის, რაც ყველა ალტერნატივას ერთნაირი აქვს - მხედველობაში მხოლოდ ის ელემენტები მიიღება, რომლებიც განსხვავებულია ალტერნატივებში.
- გაანგარიშებების წარდგენა შეიძლება, როგორც ყველა მომავალი ხარჯისა და სარგებლის მიმდინარე ღირებულებების ჯამი ანდა როგორც ყოველწლიური გადახდები. აქ შედეგები წარმოდგენილია ყოველწლიური გადახდების ფორმით.

მიმდინარე ღირებულება: მაღარო

წლიური გადახდა	ხარჯები (მილიონი ლარი)	სარგებელი (მილიონი ლარი)
სამთო-მომპოვებელი კომპანიის ზარალი	-5 - -20	
ინვესტიციები გზის მშენებლობაში	1	0,5
გზის დამატებითი მოვლა-შეკეთება	1	
დაზიანებული ლანდშაფტი	1	
დამბიდან ჩამონადენი	5	
სატვირთო ავტომობილების გამონაბოლქვი	0,5 - 1	
სამუშაო ადგილების შექმნა	6	12 - 30
პერსონალის ტრენინგი	0,5	0,5
მიგრაციის შემცირება		2,5 - 10
სამთავრობო სუბსიდიის „მკვდარი ხარჯი“	3	
შემდგომი განვითარების პოტენციალი		მაღალტექნოლოგიური წარმოება
სულ	-22,5 - +17,5 პლუს შემდგომი განვითარების პოტენციალი	

საბოლოო შედეგი მერყეობს ეკონომიკისათვის წელიწადში 22,5 მილიონი ლარის სოციალურ-ეკონომიკური ზარალიდან 17,5 მილიონი ლარის მოგებამდე.

და ეს მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მთავრობამ პროექტის ასამოქმედებლად წელიწადში 10 მილიონი ლარის სუბსიდია უნდა გადაიხადოს. გასათვალისწინებელია, რომ სუბსიდია თავისთავად არ არის დანახარჯი-სარგებლობის ანალიზში ხარჯი. სუბსიდიით ეკონომიკური ღირებულება გადასახადების გადამხდელებისაგან სამთო-მომპოვებელ კომპანიაში გადადის - სამთო-მომპოვებელი კომპანია იგებს იმდენს, რამდენსაც აგებს გადასახადის გადამხდელი. ეკონომიკის რეალური ხარჯი პროდუქტიულობის დანაკარგია ეკონომიკაზე იმ გადასახადების მრუდე ზეგავლენის გამო, რომლებიც სუბსიდიის დასაფინანსებლად არის საჭირო - ამას, ჩვეულებრივ, გადასახადის „მკვდარ ხარჯს“ (dead weight cost) უწოდებენ, რაც აქ სუბსიდიის 30%-ის განაკვეთით არის გაანაგარიშებული.

სამთო-მომპოვებელი კომპანიის ზარალი ნიშნავს იმას, რომ პროდუქციის ღირებულება ნაკლებია პროდუქციის ხარჯზე. ეს ეკონომიკის ზარალია. თუმცა ეს ეფუძნება ვარაუდს, რომ ხალხი, რომელიც სხვა შემთხვევაში ვერ დასაქმდებოდა, ეკონომიკურ ღირებულებას წარმოადგენს. რადგან ამ ხალხის უმეტესობას სხვა სამუშაო არ ექნებოდა, ისინი ალტერნატიულ დანახარჯს არ წარმოადგენენ. ამიტომ იმ დასაქმებულთა შემოსავლებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში დაუსაქმებელი იქნებოდნენ, გაანგარიშებას ვამატებთ, როგორც სარგებელს.

გაანგარიშება პირიქითაც შეიძლებოდა გაგვეკეთებინა - სხვა შემთხვევაში დაუსაქმებულთა ხელფასები არ აისახებოდა სამთო-მომპოვებელი კომპანიის ხარჯებში, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენენ ეკონომიკურ ღირებულებას. შედეგი ერთნაირი იქნება.

მიმდინარე ღირებულება: ტურიზმი

წლიური გადახდა	ხარჯები (მილიონი ლარი)	სარგებელი (მილიონი ლარი)
ტურიზმის ოფისი	0,4	
რეკლამა	0,3	
გიდების ტრენინგი	0,3 – 1,1	
ძირითადი კურორტი	-1 - +2	
ბუნგალოები	-0,5 - +1	
შექმნილი სამუშაო ადგილები	0,6 – 1,2	2,4 - 60
დანაგვიანება	0,7 – 1,5	
ავტომობილების გამონახობლქვი	0,1 – 0,5	
მიგრაციის შემცირება		0,75 - 24,5
სახელმწიფო სუბსიდიის „მკვდარი ხარჯი“	0,5	
შემდგომი განვითარების პოტენციალი		ტურისტული ინფრასტრუქტურა
სულ	-1,25 – 82 პლუს ტურისტული ინფრასტრუქტურა	

ტურისტული პროექტი უფრო იაფია, ვიდრე მაღაროს პროექტი, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ პროექტმა შეიძლება ცოტა სამუშაო ადგილი შექმნას, მინიმუმ, 150 სამუშაო ადგილი. თუმცა ეს დიდი სოციალურ-ეკონომიკური ზარალი მაინც არ იქნება, შესაძლოა, მხოლოდ 1,25 მილიონ ლარი წელიწადში. მეორე მხრივ, ტურისტული

ალტერნატივა შეიძლება ძალზე წარმატებული იყოს. თუ იგი 4,900 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის, წლიური მოგება 82 მილიონი ლარი იქნება.¹

ნაბიჯი 9: ალტერნატივების შედარება

ახლა მადაროს გახსნის შემოთავაზებული პროექტი შეგვიძლია შევადაროთ „უცვლელად დატოვებისა“ და სხვა ალტერნატივებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ტურიზმის განვითარების პროექტს.

ჯერ ვსვამთ კითხვას: რა კუთხით მოუნდებათ გადაწყვეტილებების მიმღებებს ალტერნატივების ღირსებების შეფასება? გარკვეული კონსულტაციის შემდეგ ასეთი სია შევადგინეთ:

1. შექმნილი სამუშაო ადგილები
2. სახელმწიფო დაფინანსების საჭიროება
3. სოციალურ-ეკონომიკური ღირებულება
4. რეგიონის შემდგომი განვითარების პოტენციალი
5. ბუნებაში ჩარევა

ალტერნატივების შედარება

	მადარო	ტურიზმი
სოციალურ-ეკონომიკური ღირებულება	-22,5 - +17,5	-1,25 - +82
შექმნილი სამუშაო ადგილების წმინდა რაოდენობა	500 – 2,000	150 – 4,900
ბუნებაში ჩარევის თანმდევი ღირებულება	უარყოფითი	უმნიშვნელო
შემდგომი განვითარების პოტენციალი	მაღალტექნოლოგიური წარმოება	ტურისტული ინფრასტრუქტურა
სამთავრობო სუბსიდია	10 მილიონი ლარი წელიწადში	1,5 მილიონი ლარი წელიწადში

¹ ეს ციფრები უნდა მივიჩნიოთ არა რეალურ ციფრებად, არამედ ინდიკატორებად.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. საკმარისი სამუშაო ადგილების შექმნა უფრო მოსალოდნელია მაღაროს პროექტით, ვიდრე ტურიზმის პროექტით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ტურიზმის პროექტს მეტი სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალი აქვს.
2. თუ მომდევნო 10 წლის მანძილზე სახელმწიფო დაფინანსება აუცილებელია, ტურიზმის პროექტს ნაკლები დაფინანსება დასჭირდება, რისი გათვალისწინებაც, ალბათ, მნიშვნელოვანია.
3. არსებობს რისკი იმისა, რომ საბოლოოდ მაღაროს პროექტს დიდი უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური ღირებულება ექნება (მშპ-ზე ნეგატიური გავლენა). თუმცა, ფოლადზე მსოფლიო ფასების ზრდასთან ერთად, ამ პროექტმა შეიძლება მოგება მოიტანოს. საბოლოოდ სამთო-მომპოვებელი კომპანია დამოუკიდებლად ოპერირებას, სახელმწიფო სუბსიდიების გარეშე, 10 წლის შემდეგ შეძლებს.
4. ამ შორეულ რეგიონში მაღალტექნოლოგიური მრეწველობის მოზიდვის ალბათობა დაბალია. ტურისტული ინდუსტრიის გაფართოება კი რეალური შესაძლებლობაა, თუ მეწარმეები ჭკვიანურად იმოქმედებენ.
5. გარდა იმ ღირებულებებისა, რომლებიც დანახარჯი-სარგებლობის ანალიზის გაანგარიშებებშია მოცემული, არსებობს ბუნებაში ჩარევის ღირებულება, რაც საკმაოდ დიდია მაღაროს პროექტის შემთხვევაში.
6. ალტერნატივების ამ შეფასების შესრულების შემდეგ სამუშაო ჯგუფს სრული წარმოდგენა შეექმნა რეგიონული განვითარების იმ სირთულეებსა და შესაძლებლობებზე, რომლებიც წარმოდგენილი გაანგარიშებების ციფრებში არ ასახულა. ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ ტურიზმის განვითარების ალტერნატივა საუკეთესო შესაძლებლობაა რეგიონის განვითარებისათვის და შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიმღებებს ამ რეკომენდაციას უწევს. ეს რეკომენდაცია ეფუძნება როგორც დანახარჯები-სარგებლობის ანალიზს, ისე საკითხის შესახებ ღრმა წარმოდგენას.



კირილ მირი

სტოკჰოლმის უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორი, შვედეთის მინისტრთა კაბინეტისა და სხვა ცენტრალური უწყებების ეკონომიკის პოლიტიკის გამომცემი და წარმატებული ანალიტიკოსი. 1980-იანი წლების დასაწყისიდან მუშაობს საჯარო ადმინისტრაციის შვედურ ინსტიტუტში და უკვე ოც წელზე მეტია მთავარი ეკონომისტის თანამდებობა უკავია. რ. მირი გვერდით მონაწილეობდა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის განხილვებში და სარეგულაციო ფორუმებში. ამჟამად მრავალენოვანი და მჭიდრო კონტაქტები სარეგულაციო ინსტიტუტებთან და სხვა ქვეყნების სამთავრობო უწყებებთან, კირილ მირი, საჯარო სამსახურის გარდა, აქტიურად მოღვაწეობს რამდენიმე გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციაში.



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES



INTERNATIONAL SWEDISH INSTITUTE FOR
PUBLIC ADMINISTRATION